PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“

ექსპერტთაჯგუფისწევრები

თავმჯდომარე:

ნანა ბარნაბიშვილი

წევრები:

ქეთევან ღვანიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: *ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“*

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა:*ა(ა) იპ*

საიდენტიფიკაციო კოდი:[redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

II. ვიზიტისსაერთომიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 9 ივნისის MES 7 20 00450016 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2020 წლის18ივნისს ქ. ოზურგეთში, განახორციელა ვიზიტი ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „სკოლამდელი აღრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **დამატების,** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31–ე მუხლის, მე–2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ვიზიტის განხორციელებამდე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეიმუშავა დღის წესრიგი.

ქალაქ ოზურგეთში, სამუშაო ვიზიტის დაწყებამდე, კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გაცნობისა და გასაუბრების დროს, განხილულ იქნა მომზადებული დღის წესრიგი, რომელმაც მცირე კორექტირება განიცადა გაცნობითი პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტისა და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების ნაწილში, რაც გამოიწვია პანდემიასთან დაკავშირებულმა რეგულაციებმა. ექსპერტთა ჯგუფი შემოიფარგლა გაცნობითი პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმების გადამოწმებით.

დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

გაცნობითი შეხვედრა და გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;

- დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებულიარსებული პრაქტიკის შემოწმება, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელთან;
- საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის, სტრატეგიული და სამოქმედოგეგმებისა დამათიშესრულებისმონიტორინგის მექანიზმების შემოწმება/პასუხისმგებელპირებთანგასაუბრება;
- საგანამანთლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შემოწმება (მათ შორის ბიბლიოთეკა)/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
- საგანამანთლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალის პირადი საქმეების შემოწმება, მათთან გასაუბრება;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმების გადამოწმება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების და განვითარების მექანიზმების არსებული პრაქტიკის შემოწმება/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
- სასწავლო პროცესის ორგანიზების და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
- დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შეჯამება/შეჯერება ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის/ძირითადი მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის.

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ატმოსფეროში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

IV. საუკეთესოგამოცდილებისსაერთომიმოხილვა:

V. წინავიზიტისფარგლებშიგაცემულირეკომენდაციებისშესრულებისშეფასებადააღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2019 წელს კოლეჯის ავტორიზაციის სტანდარტებთან შეფასების შედეგად ექსპერტთა მიერ რეკომენდაცია არ იქნა განსაზღვრული.

VI.გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „სკოლამდელი აღრზდის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმებისა ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

VII.რეკომენდაციებისშეჯამება

განვითარების რეკოამენდაცია

2.2.1პროგრამა სპეციფიურია თავისი შინაარსით, იგი ეხება სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან მუშაობასა და მათ აღზრდა-განათლებას და უფრო უპრიანი იქნება მოდული „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ პროფესიულმა სტუდენტმა გაიაროს პრაქტიკის ბაზაზე, ვინაიდან მას საშუალება ექნება ყველა გავლილი თეორიული მასალის ცოდნა გაიმყაროს, რეალურ პრაქტიკაზე დაყრდნობით, მასზე დაკვირვებითა და უშუალო მონაწილეობით. სტუდენტს მიეცემა, არა მხოლოდ ექსკურსიის დონეზე (გარემოზე ვიზუალური დაკვირვების), არამედ თავად აღსაზრდელებთან შეხების, მათთან კომუნიკაციის, სწორი მიდგომის განსაზღვრის და სპეციალური საჭიროების აღსაზრდელებთან მუშაობის შესაძლებლობა, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს აღნიშნულ სფეროში,მის პროფესიონალდ ჩამოყალიბებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი აღზრდა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესიპროფესიულიკვალიფიკაციასკოლამდელ აღზრდაში/Higher Vocational Qualification in Preschool Education
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება 2020 წლის 29 მაისი N 04-71
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ.ოზურგეთი,რუსთაველის N 8

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	მოდულური - 30 პროფესიულისტუდენტი, ქ.ოზურგეთირუსთაველის N 8
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში).*	–
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	–
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	–
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამისგანხორციელებისრესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლოპროგრამებისშეფასებადაგანვითარება	სრული3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასებახორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2.საგანმანათლებლოპროგრამები

2.1 საგანმანათლებლოპროგრამისდაგეგმვადაშემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებასდაშეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებასდაშეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება“, სადაც საუბარია, მასზედ, რომ აღნიშნული პროგრამის დამატების საჭიროებას საფუძვლად უდევს კოლეჯის მიერ განხორციელებული ბაზრის კვლევა. მოყვანილია ფაქტი, რომ გურიის რეგიონში მხოლოდ 85 ბაგა–ბაღია (ოზურგეთში – 44, ლანჩხუთში – 21, ჩოხატაურში – 20), შესაბამისად არის ბევრი სოფელი, სადაც არ არის სკოლამდელი დაწესებულება. კვლევის შედეგად გამოიკითხნენ გურიის მაცხოვრებლები, მათ აღნიშნეს, რომ უჭირთ ბავშვების მეზობელ სოფლებში ტარება და სურვილი გამოთქვეს საკუთარ სოფლებში საბავშვო ბაღის არსებობასთან დაკავშირებით.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დასაბუთებაში, ნახსებნებია ასევე დამსაქმებელთა მხრიდან გამოთქმული სურვილი აღნიშნული კვალიფიციური კადრის საჭიროებასთან დაკავშირებით.

ვინაიდან ჩვენს ხელთ არსებულ დასაბუთებაში არ იყო ნათლად აღწერილი ჩატარებული კვლევებისა და გამოკითხვების შესახებ ინფორმაცია, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების თანამშრომლებს. გასაუბრებისას კოლეჯის თანამშრომლებმა, რომელთაც უშუალო მონაწილეობა მიიღეს პროგრამის დამატების თაობაზე კვლევაში, აღნიშნეს, რომ ინტერესი დამსაქმებელთა მხრიდან მართლაც ძალიან დიდია, რადგან გურიის რეგიონში არსებულ ბაღებში უმეტესწილად არ არსებობს კვალიფიციური კადრი, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან მოთხოვნა, ბაგა–ბაღის აღმზრდელის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით აღნიშნულ დარგში ძალაში შევიდა 2020 წლიდან, შესაბამისად შეიქმნა საჭიროება პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით.
გასაუბრებისას კოლეჯის თანამშრომლებმა ასევე აღნიშნეს, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხრიდან არსებობს მზაობა ახალი ბაგა–ბაღების მშენებლობასთან დაკავშირებით, რაც შესაბამისად შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს და აღნიშნული კადრის საჭიროებას.
დაწესებულების თანამშრომლებმა ასევე წარმოადგინეს სამუშაო შეხვედრის ოქმი (26/02/2020) , რომელიც შედგა „ სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების მიზანშეწონილობის დადგენასთან დაკავშირებით. კოლეჯის თანამშრომლებთან ერთად შეხვედრას ესწრებოდნენ დამსაქმებლებიც აღნიშნული დარგის მიმართულებით.სამუშაო შეხვედრაზე განხილული იქნა ჩატარებული გამოკითხვის შედეგები. შესწავლილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის შედეგად დადგინდა, რომ პსდ –ს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას, უზრუნველყოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები და ჰქონდეთ დასაქმების რეალური საშუალება.

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით „სკოლამდელი აღზრდა“ განსაზღვრულია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. პროგრამაზე დაშვებულ პირთა უნარები და წინარე ცოდნა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 17 აგვისტოს ბრძანება #32/დ „ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ". აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად კვოტის განსაზღვრის დროს კოლეჯი პირველ რიგში ითვალისწინებს პროგრამისათვის საჭირო გარემოს არსებობას, გარემოს ფართს, დაწესებულების სამუშაო გრაფიკს და პროგრამის ხანგრძლივობასა და სპეციფიკას, ასევე კოლეჯი ითვალისწინებს მოდულური პროგრამის მოთხოვნადობას, როგორც შრომის ბაზარზე ასევე აპლიკანტის მხრივ. დოკუმენტში მოყვანილია კვოტის განსაზღვრის ცხრილი დაწესებულების A,B,Cგარემოებისფართისმითითებით 1 პროფესიულსტუდენტზე, რომლისთანახმადაცგანხორციელდებაპროფესიულისტუდენტთაზღვრულირაოდენობისმოთხოვნა.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის # 04–67 ბრძანებით კი განსაზღვრულია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შემუშავება კონკრეტულად პროგრამაზე „სკოლამდელი აღზრდა“. დოკუმენტში აღწერილია კვოტის განსაზღვრის გასათვალისწინებელი გარემოებები.

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ვიზიტის მიმდინარეობისას ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ დაწესებულებაში არსებული სათანადო ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო გარემო, ბიბლიოთეკის ფონდი და პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამა შემუშავებულია არჩევითი მოდულების გარეშე.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული "აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე და დამტკიცებულია ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტი"–ს დირექტორის 2020 წლის 29 მაისის N04–71 ბრძანებით. (სპეციალიზაციისკოდი0112).კოლეჯისდირექტორისუფლებამოსილებაპროგრამისდამტკიცებასთანდაკავშირებით განსაზღვრულია დაწესებულების წესდებით (თავი 2. მუხლი 4, გ – პუნქტი).

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის დასახელება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამის სახელწოდებაა " სკოლამდელი აღზრდა" იგი არ არის შეცდომაში შემყვანი ვინაიდან შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული სკოლამდელი აღზრდის პროფესიასთან. პროგრამის სწავლის შედეგებია: 1. ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი ტავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით; 2. მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა; 3. ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება; 4.წარმატებული,უსაფრთხო,მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიულისაგანმანათლებლოპროგრამისჩარჩოდოკუმენტისსაფუძველზეშექმნილპროფესიულსაგანმანათლებლოპროგრამაშიგანსაზღვრულიაპროგრამისსახელწოდება, მისანიჭებელიკვალიფიკაცია, პროგრამისმოცულობადახანგრძლივობა, პროგრამაზედაშვებისწინაპირობა, მიზნები, სწავლისშედეგები, სწავლებისადასწავლისმეთოდები, სწავლის შედეგად მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, კურსდამთავრებულთაკარიერულიშესაძლებლობანი; სტრუქტურადამოდულები.

პროგრამასთანერთვისზოგადიდასავალდებულომოდულები, ინფორმაციაპროგრამისგანმახორციელებელიადამიანურირესურსისშესახებდასასწავლოგეგმებიქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის.რომელშიცასახულიამოდულებისშესწავლისთანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით.სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია.

დაწესებულებაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული რესურსი, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი რელევანტურია სწავლის შედეგების მისაღწევად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 116 კრედიტია, აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11 (3 მოდული), ხოლო სპეციალიზაციის/ პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 105 კრედიტი (24 მოდული). სწავლების ხანგრძლივობაა 22 სასწავლო თვე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 146 კრედიტია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმისმტკიცებულებები/ინდიკატორებიშესაბამისიდოკუმენტებისადაინტერვიუსშედეგებისჩათვლით

- ა(ა)იპკოლეჯი „ჰორიზონტი“-სსტრატეგიულიგანვითარებისგეგმით (2019- 2025);
- პროგრამისმიზანშეწონილობის დასაბუთებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- დაწესებულების მისიით;
- დაწესებულების წესდებით;
- კოლეჯი „ჰორიზონტი“–ს დირექტორის 2018 წლის 17 აგვისტოს #32/დ ბრძანებით „ააიპ კოლეჯი „ჰორიზონტის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;
- მატერიალურ ტექნიკური რესურსის შესახებ პროგრამის დანართით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- კოლეჯის წესდებით;
- პროგრამის დამტკიცების აქტით # 04–71 (29/05/2020);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით“ სკოლამდელი აღზრდა“;
- „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების მიზანშეწონილობის დადგენასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრის ოქმით;
- პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერთან გასაუბრებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისიგრაფისმონიშვნით, გამოხატოთსაკუთარიპოზიციადაწესებულებისსტანდარტის მოცემულ კომპონენტთანმიმართებითშესაბამისობისშესახებ.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.2.2საგანმანათლებლოპროგრამისგანხორციელებისრესურსი.

2.2.1პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

წარმოდგენილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A და B გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა 15 პროფესიულ სტუდენტზე. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მიერ მოხდა აღნიშნული აუდიტორიების გადამოწმება, აღმოჩნდა,რომ კოლეჯსს აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს ერთიA გარემო, (34,5 კვ.მ) და ერთი B გარემო (35,2 კვ.მ),რომლებიც აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით 15 პროფესიულ სტუდენტზე. კერძოდ კოლეჯს მფლობელობაში აქვს მაგიდა და სკამი 15 პროფესიულ სტუდენტზე, 16 კომპიუტერი, 1დაფა, 1 პროექტორი და 1 –ი პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი) შესაბამისი აღჭურვილობა პროგრამის განხორციელებისათვის. აღნიშნულ პროგრამაზე კოლეჯს სურს 30 სტუდენტის მიღება (ორ ცვლაში).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. კოლეჯი გაცნობითი პრაქტიკის განხორციელებას გეგმავს სასწავლო ექსკურსიით, შესაბამის დაწესებულებაში, სადაც მათი თქმით სტუდენტებს საშუალება ექნებათ ადგილზე გაეცნონ აღმზრდელის მუშაობას, ხოლო მოდული „პრაქტიკული პროექტი“ განხორციელდება დაწესებულების ბაზაზე.მოდულისთვის „გაცნობითი პრაქტიკა-სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის#მე-6-ე,#მე-4-ე და #1 საბავშვო ბაღებთან. ხელშეკრულების საფუძველზე პარტნიორი ორგანიზაცია კოლეჯს სთავაზობს 30 პროფესიული სტუდენტის სასწავლო ექსკურსიით უზრუნველყოფას. ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ მხარეებს შორის ურთიერთობა ეფუძნება ურთიერთპატივისცემას, თანასწორობასა და ურთიერთდახმარების პრინციპებს. ორგანიზაცია ვალდებულია ექსკურსიის მიზნით გამოყოს კვალიფიციური პირი, რომელიც გააცნობს პროფესიულ სტუდენტებს სამუშაო გარემოს მოწყობის ძირითად პრინციპებს, მიაწოდებს ინფორმაციას პროფესიის, დასაქმების შესაძლებლობებისა და დასაქმებულის პროფესიული მოვალეობებისთაობაზე.ხელშეკრულების მიხედვით კოლეჯი ვალდებულია სასწავლო ექსკურსიის ორგანიზებამდე 5 დღით ადრე აცნობოს პარტნიორ ორგანიზაციას სტუდენტთა ვიზიტის თარიღის, დროისა და ხანგრძლივობის შესახებ, ასევე წერილობით მიაწოდოს მას პროფესიულ სტუდენტთა სახელობითი სია და ინფორმაცია მოდულის შესახბ.

გამომდინარე იქედან,რომ დაწესებულებას ვალდებულება არა აქვს აღნიშნული მოდული „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება „ განახორციელოს პრაქტიკის ობიექტზე, ვერ ჩავთვლით ამას ხარვეზად, თუმცა აღსანიშნავია ის, რომ პროგრამა სპეციფიურია თავისი შინაარსით, იგი ეხება სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან მუშაობასა და მათ აღზრდა განათლებას და უფრო უპრიანი იქნება აღნიშნული მოდული სტუდენტმა გაიაროს პრაქტიკის ბაზაზე, ვინაიდან მას საშუალება ექნება ყველა გავლილი თეორიული მასალის ცოდნა გაიმყაროს, რეალურ პრაქტიკაზე დაყრდნობით, მასზე დაკვირვებითა და უშუალო მონაწილეობით. ვიზიტის დასრულების შემდგომ დაწესებულების ხელმძღვანელობას გაეცნო აღნიშნული რეკომენდაცია,დაწესებულების თანამშრომლები და მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელი დადებითად შეხვდა ექსპერტების მიერ შეთავაზებულ ინიციატივას.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**
4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

დაწესებულებისმიერშევსებულპროფესიულიპროგრამისდამატებისშესახებგანაცხადსთანახლავსდანართიპროფესიულისაგანმანათლებლ ოპროგრამისგანხორციელებისათვისსაჭიროადამიანურირესურსისშესახებ.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს დარგისშესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლები, რომლებსაც უდასტურდებათ სამუშაო გამოცდილება სკოლამდელ აღზრდაში. დაწესებულების მიერ ხელშეკრულებები გაფორმებულია 16 პროფესიულ მასწავლებელთან, რომელთაც გავლილი აქვთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული ტრენინგები და შესაბამისად აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა აღნიშნული პერსონალის პირადი საქმეები და ხელშეკრულებები. შესწავლილი დოკუმენტაცია და მათთან გასაუბრების შედეგები ადასტურებს მათ კვალიფიკაციასა და კომპეტენციას პროფესიული პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელებისათვის. გასაუბრება ასევე შედგა უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის # 02–5 ბრძანებით „ პროგრამის ხელმძღვანელების დამტკიცების შესახე“. აღნიშნულ პირთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულება, სადაც აღწერილია მისი უფლება მოვალეობები, სამუშაო დატვირთვა და შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.აღნიშნულ პირს აქვს აღმზრდელად მუშაობის 19 წლიანი გამოცდილება, ჩართულია და მონაწილეობას იღებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრისმიერ განხორციელებულ პროექტებსა და ინოვაციებში.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების ბიბლიოთეკა, დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია ძირითადად ელექტრონული სახით, ჩაწერილია CD დისკებზე და გატარებულია ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნში. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

